სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2026 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო
გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში

საანგარიშო პერიოდში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირებმა პროფესიული განათლების მიმართულებით, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების და შენიშვნების , გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის მიხედვით გაწერილ ვადებში გამოსწორებას და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.

კერძოდ: იანვრის თვეში გაიმართა სხდომა, სადაც განხილულ იქნა შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისას გამოვლენილი ხარვეზები. რის საფუძველზე ჩატარდა ტრენინგი ,,შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია პროფესიულ განათლებაში“

ასევე მოხდა შეფასების ინსტრუმენტების გადახედვა მისი შეფასების მიმართულებასთან თანხვედრის შემოწმების მიზნით, იმ მოდულების ფარგლებში რომლებიც ხორციელდება მიმდინარე წლის იანვრის თვიდან.

მაისის თვეში პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს დაეგზავნათ შემდეგი კითხვარები:

-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიულ პროგრამებზე სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, გავლილი მოდულების მაგალითზე.

-პროფესიულ მასწავლებელთა შეფასების კითხვარი პროფესიულ სტუდენტთა მიერ

-პროფესიული განათლების მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი

-პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელთა შეფასების კითხვარი

კითხვარების შესავსებად პროფესიულ სტუდენტებს და პერსონალს მიეცა გონივრული ვადა.

შედეგები დამუშავდება და შესაბამისი რეკომენდაციები წარედგინება დეპარტამენტის უფროსს.

ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა და გადაიგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“, აღნიშნულ პროგრამაზე სწავლას შეძლებენ 2026 წელის საგაზაფხულო მიღების ფარგლებში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები.

საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფილ იქნა ვებ-გვერდის განახლება. განახლება ხორციელდებოდა გონივრულ ვადებში, რაც უზრუნველყოფდა საზოგადოების დროულად ინფორმირებას. საანგარიშო პერიოდში განახორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის სრული გადამუშავება და განახლება. დოკუმენტი მოიცავს როგორც მოქმედ, ისე ახალ საგანმანათლებლო პროგრამებს.

განახლებული კატალოგი ასახავს პროგრამის სახელწოდებას , მისანიჭებელ კვალიფიკაციას, კვალიფიკაციის დონეს, მიზანს, დასაქმების შესაძლებლობებს , პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებას და კრედიტის მინიჭებას, კვალიფიკაციის მინიჭების პირობებს რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო შეთავაზების სრულ სურათს. კატალოგი ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ ფორმატში, რაც ამარტივებს ინფორმაციაზე წვდომას და ზრდის კომუნიკაციის ეფექტიანობას პროფესიულ სტუდენტებთან, აპლიკანტებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან.

ამოქმედდა ახალი საშტატო განრიგი, რომლის ფარგლებშიც აყვანილ იქნა უფროსი სპეციალისტი ხარისხის მიმართულებით. ჩვენი მხრიდან ახალ თანამშრომელს გაეცნო რეგულაციები, ჩვენი წესების შესაბამისად ხელი შეუწყეთ ახალ გარემოში ადაპტაციის პროცესს, დეტალურად განვიხილეთსესასრულებელი სამუსაო და უფლებამოვალეობები.

ახალციხეში რეგულარულად ტარდება დასაქმების ფორუმები, რომლებიც მნიშვნელოვან შესაძლებლობას წარმოადგენს პროფესიული სტუდენტებისთვის დამსაქმებლებთან პირდაპირი კომუნიკაციის, ვაკანტური პოზიციების გაცნობისა და დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების კუთხით. თუმცა, ახალქალაქში მცხოვრები და პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებს აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობას. ამის მიზეზად შეიძლება დასახელდეს გეოგრაფიული დაშორება, ტრანსპორტირების სირთულეები, დამატებითი ფინანსური ხარჯები და დროითი რესურსების შეზღუდვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დასაქმების ფორუმის ჩატარების დაგეგმვა ახალქალაქის ლოკაციაზეც, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტების თანაბარ ხელმისაწვდომობას დასაქმების შესაძლებლობებზე, გააძლიერებს მათ ჩართულობას შრომის ბაზართან და გაზრდის დამსაქმებლებსა და პოტენციურ დასაქმებულებს შორის ეფექტიან თანამშრომლობას. ასევე, მსგავსი ღონისძიების ახალქალაქში ჩატარება ხელს შეუწყობს ადგილობრივი ბიზნესსექტორის აქტიურ მონაწილეობას, რეგიონში დასაქმების შესაძლებლობების პოპულარიზაციასა და პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის ზრდას.

ასევე აუცილებელია ტრენინგი ჩაუტარდეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია“ განმახორციელებელ პერსონალს და ასევე სხვა მსურველებს - სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების შესახებ.

აღნიშნული ტრენინგი ხელს შეუწყობს მონაწილეთა პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებას, თანამედროვე მიდგომებისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების გაცნობასა და პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებას.

ტრენინგის ჩატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიულ განვითარებას, სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და პროფესიული სტუდენტების სასწავლო შედეგების ეფექტიანად მიღწევას. ასევე, აღნიშნული აქტივობა ხელს შეუწყობს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის გაძლიერებასა და პროფესიული განათლების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

ხარისხის სამოქმედო გეგმაში ტრენინგის ,,სწავლა სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევების შეფასების შესახებ“ ჩატარება დაგეგმილია მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში, თუმცა მიზანშეწონილია შესაბამის მსვლელობა მიეცეს ივლისის თვიდან.